საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
„კანონის უზენაესობა სამართლიანობისთვის"

საინფორმაციო ბიულეტენი #2

იანვარი-მარტი 2018

#საია

ახლა თქვენ, საიას საინფორმაციო ბიულეტენის მეორე ნომერს კითხულობთ და ეს ჩემი პირველი წერილია აქ. ის, რასაც ბიულეტენის ამ ნომერში წაიკითხავთ არის მცდელობა, ერთგვარი შეჯამების სახით, გითხრათ თუ რას ვსაქმიანობდით 2018 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში.

საიასთვის 2018 წლის იანვრის თვის მნიშვნელოვან მოვლენათა შორის, უდავოდ, აღსანიშნავია აფხაზეთის საოკუპაციო ხაზთან მოკლული საქართველოს მოქალაქის გიგა ოთხოზორიას საქმეზე, გიგას ოჯახის სახელით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეტანილი საჩივარი. პარალელურად, არჩილ ტატუნაშვილის შემთხვევა ადასტურებს, რომ ოთხოზორიას საქმე არ არის გამონაკლისი.

ასევე, გავიხსენებ პოეტ ზვიად რატიანის საქმეს. ეს საქმე საუკეთესო მაგალითია თუ რატომ უნდა შევცვალოთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებებით კი, პარლამენტმა სამართლებრივი წინაპირობა შეუქმნა საზოგადოებრივ მაუწყებელს კორუფციული გარიგებებისათვის.

ცალკე უნდა აღინიშნოს საიას მიერ, ევროპულ სასამართლოში განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხული საჩივრების აღდგენის მოთხოვნით გაგზავნილი საჩივარი. ამ ტიპის საჩივარი პირველად გაიგზავნა საქართველოდან და ეს საჩივარი კიდევ ერთი არგუმენტია იმის, თუ რატომ გვჭირდება რეალური დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი და არა ისეთი, რომელსაც ხელისუფლება გვთავაზობს.

მარტის თვეში ბევრი ისტორია ვნახეთ, რომელიც ქალთა მიმართ სექსუალური შევიწროვების შემთხვევებს ეხება. ახლა, როგორც არასდროს მინდა სოლიდარობა გამოვუცხადო მათ და ვუთხრა, რომ საია მზად არის დაიცვას მათი უფლებები.

ცხადია, იანვარ-მარტის ბიულეტენში საიას ყველა აქტივობისთვის არ მოიძებნა ადგილი, თუმცა, ეს და სხვა ამბები ჩვენს ვებ-გვერდზე შეგიძლიათ ნახოთ უფრო ვრცლად, მანამდე კი, გაეცანით ბიულეტენს.

საიას თავმჯდომარე

საია გიგა ოთხოზორიას მკვლელობას სტრასბურგში ასაჩივრებს

11 იანვარს, საიამ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ ცენტრთან (EHRAC) თანამშრომლობით, გიგა ოთხოზორიას მკვლელობის საქმეზე, მისი ოჯახის სახელით, ევროპულ სასამართლოს რუსეთის წინააღმდეგ საჩივრით მიმართა.

საქართველოს მოქალაქე, 30 წლის გიგა ოთხოზორია, 2016 წლის 19 მაისს, აფხაზეთის საოკუპაციო ხაზთან, ხურჩა ნაბაკევის გამშვებ პუნქტთან ე.წ. აფხაზმა მესაზღვრეებმა მოკლეს.

საია წარდგენილ საჩივარში მომჩივანთა მიმართ რუსეთის მხრიდან ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-13 (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) მუხლების დარღვევას ასაბუთებს.

გაგრძელება იხ. შემდეგ გვ.-ზე.



სარჩევი

1. *საია ოთხოზორიას მკვლელობას სტრასბურგში ასაჩივრებს* 1
2. *შეხვედრა 2008 წლის ომით დაზარალებულებთან* 1
3. *!!ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს!!* 2
4. *საიას წარმატებული 2017წ.: 121 მოგებული საქმე* 2
5. *#არჩევნები2017: საიას შეფასება* 3
6. *ეთნიკური უმცირესობების ელექტორალური ქცევა* 3
7. *რას აჩვენებს საპარლამენტო საქმიანობის მონიტორინგი?* 4
8. *საია ცვლილებებისთვის - IChange.gov.ge* 4

აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევისთვის, ასევე აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების ქმედებებზე, პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციას ეკისრება, როგორც აღნიშნულ ტერიტორიაზე ეფექტური კონტროლის განმახორციელებელ სახელმწიფოს.

თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და სიცოცხლის ხელყოფის ფაქტები საოკუპაციო ზოლის მიმდებარედ, როგორც აფხაზეთის, ისე სამხრეთ ოსეთის მიმართულებით უკვე არაერთი წელია მასიურ ხასიათს ატარებს:

- ყოველწლიურად ასობით საქართველოს მოქალაქე ხდება ამ დანაშაულის მსხვერპლი, მათ შორის ქალები და ბავშვები. უმეტეს შემთხვევაში, გატაცებულები გარკვეული თანხის სანაცვლოდ თავისუფლდებიან, თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც გატაცებულები წლების განმავლობაში ტყვეობაში რჩებიან. მათი დაკავების პირობები როგორც წესი არის მძიმე და არაადამიანური, არაერთი დაკავებული საუბრობს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაზე ...

- ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში 2014 წელს გაუჩინარებული დავით ბაშარულის გვამი რამდენიმე თვის შემდეგ იპოვეს ...

- საოკუპაციო რეჟიმის ბოლო მსხვერპლი, 35 წლის, ყოფილი სამხედრო მომსამსახურე, არჩილ ტატუნაშვილი გახლდათ, რომელიც უკანონოდ დააკავეს დაბა ახალგორში ე.წ. მესაზღვრეებმა, მიმდინარე წლის 22 თებერვალს. 23 თებერვალს, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტმა განაცხადა, რომ ტატუნაშვილიმა ბადრაგს წინააღმდეგობა გაუწია, რა დროსაც კიბეზე დაგორდა და მოგვიანებით, საავადმყოფოში გულის უკმარისობით გარდაიცვალა. ტატუნაშვილის ცხედარი, რომელსაც სავარაუდო წამების კვალი აღენიშნებოდა. ოჯახს გარდაცვალებიდან 26 დღის შემდეგ გადასცეს.

საია მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე, წარადგინოს სახელმწიფოთშორისი საჩივარი, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ.

მიმართვის სრული ვერსია

შეხვედრა 2008 წლის ომით დაზარალებულებთან

მიმდინარე წლის 2 მარტს, საიას წარმომადგენლები „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) ქართული კოალიციის“ წევრ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, სოფელ მოხისში ჩავიდნენ და 2008 წლის ომის შედეგად დაზარალებულებს შეხვდნენ.

შეხვედრა, რომელიც *სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC)* მიერ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ფარგლებში განხორციელდა, მიზნად ისახავდა დაზარალებულებთან გასაუბრებას, მათთვის მიმდინარე გამოძიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და ასევე, იმ საჭიროებების კვლევას, რაც ჩასახლებაში მცხოვრებ დაზარალებულ მოსახლეობას გააჩნია.

მოსახლეობის ინდივიდუალური გამოკითხვა განხორციელდა სპეციალურად შედგენილი კითხვარების მეშვეობით. შეგროვებული ინფორმაცია ანალიტიკური დამუშავების შემდეგ, მიეწოდება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სხვადასხვა ორგანოებს და დაზარალებულთა ნდობის ფონდს.

ასევე, კოალიციას დაგეგმილი აქვს ანალოგიური გამოკითხვის ჩატარება სხვადასხვა ჩასახლებებში და მოგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, სპეციალური ანგარიშის მომზადება, რომელიც ომიდან 10 წლის შემდგომ ომით დაზარალებულთა ამჟამინდელ საჭიროებებს აღწერს.

კოალიციის წევრი ორგანიზაციების მიერ დაზარალებულებთან საინფორმაციო სახის შეხვედრები და მათი საჭიროებების გამოკვლევა, კიდევ რამდენიმე თვე გაგრძელდება.

!! ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს



საქართველოში დღეს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი შემორჩენილია საბჭოთა პერიოდიდან და იგი ვერ აკმაყოფილებს სამართლიანი პროცესის მოთხოვნებს.

აღნიშნული კოდექსი ცალკეული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ითვალისწინებს მძიმე სახდელებს, მათ შორის, ადმინისტრაციულ პატიმრობას, თუმცა, აწესებს გაცილებით ნაკლებ პროცედურულ გარანტიებს, ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირს გააჩნია.

მაგალითად, იგი არ ითვალისწინებს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორებიცაა: *გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ხელმძღვანელობა, უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა, ეფექტური წარმომადგენლობის განხორციელება* და სხვ.

აღნიშნულ კოდექსის გათვალისწინებით, მხოლოდ წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის მუხლებით, ყოველწლიურად დაახლოებით 10 000 პირის საქმე განიხილება. ხშირია შემთხვევები, როდესაც ეს მექანიზმი გამოიყენება მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციების მონაწილეთა წინააღმდეგ ისე, რომ მათი უფლებების სათანადოდ დაცვა სასამართლოში ვერ ხდება.

ადამიანის უფლებების შემზღუდველი აღნიშნული კოდექსის რეფორმირებისთვის, საია აქტიურად აწარმოებს სტრატეგიულ სამართალწარმოებას საკონსტიტუციო სასამართლოში. მაგალითად, აღნიშნული კოდექსის სხვადასხვა მუხლებზე საიას უკვე წარდგენილი აქვს ხუთი საკონსტიტუციო სარჩელი, რომელებიც განხილვის პროცესშია. ასევე, ორგანიზაცია ეწევა მედია და სოციალურ კამპანიებს. საია მზადაა, რეფორმის გატარების ხელშესაწყობად, ითანამშრომლოს ყველა სახელმწიფო თუ სხვა დაინტერესებულ უწყებასთან.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შეცვლის აუცილებლობა აღიარებულია ხელისუფლების მიერ. თუმცა, კოდექსის პროექტი, რომელზე მუშაობაც სამართალდარღვევათა სისტემის რეფორმის ხელშემწყობმა სამთავრობო კომისიამ დაახლოებით ორი წლის წინ დაასრულა, ამ დრომდე არ არის ინიცირებული პარლამენტში.

საია ადმინისტრაციულ სამართლალდარღვევათა კოდექსის რეფორმირების დაჩქარებას ითხოვს!

საიას წარმატებული 2017 წელი

დაარსებიდან (1994 წ.) დღემდე, საიამ დაიცვა 1 მილიონზე მეტი ადამიანის უფლება!

2017 წელს, საიამ უფასო სამართლებრივი დახმარება გაუწია 35 334 პირს, საქართველოს მასშტაბით გამართა 3 659 გასვლითი სახის კონსულტაცია, ხოლო სამართალწარმოების შედეგად კი, **წარმატებით დაასრულა 121 საქმე,** მათგან 6 საკონსტიტუციო სასამართლოში და 4 ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. საადვოკატო დახმარება გრძელდება 300-ზე მეტ საქმეზე. საიას 2017 წლის სტრატეგიული სამართალწარმოების შედეგად, წარმატებით დასრულდა ისეთი საქმეები, როგორიცაა მაგალითად:

- ✓ **დისკრიმინაცია** - დადგინდა, რომ სოციალური დახმარების მიღების წესი იწვევს მოქალაქეობის ნიშნით ასოციაციით დისკრიმინაციას და ჯანდაცვის სამინისტროს დაევალა ცვლილებების შეტანა სოციალური დახმარების მარეგულირებელ აქტებში;
- ✓ **პატიმართა უფლებები** - მსჯავრდებულ პირს მიეცა უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა. ასევე, აღნიშნულმა საქმემ განაპირობა ცვლილებები კანონმდებლობაში და სხვა პატიმრებისთვისაც შესაძლებელი გახდა უმაღლესი განათლების მიღება;
- ✓ **არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი** შინაგან საქმეთა მინისტრის ის **ნორმატიული აქტი, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის შესახებ მონაცემების უვადოდ შენახვას ითვალისწინებდა.** ამ გადაწყვეტილების შედეგად, სამართალდარღვევის შესახებ მონაცემი არ შეიძლება ინახებოდეს 1 წელზე მეტი ვადით;
- ✓ **ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოგებული საქმე** - საქართველოს მთავრობამ აღიარა 2011წ. 26 მაისს, თბილისში, პარლამენტის წინ გამართული მშვიდობიანი აქციის დაშლის დროს მომჩივნებთან მიმართებით მათი უფლებების დარღვევა და მათთვის კომპენსაციის გადახდის ვალდებულება აიღო.

ანგარიშის სრული ვერსია

#არჩევნები2017: საიას შეფასება

27 მარტს, საიამ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის საბოლოო შედეგების პრეზენტაცია გამართა. წინასაარჩევნო პერიოდს, არჩევნების დღეს, მეორე ტურს და არჩევნების შემდგომ პერიოდს, საია ქვეყნის მასშტაბით 510 დამკვირვებლით აკვირდებოდა.

დაკვირვების შედეგად შემუშავებული იქნა კონკრეტული რეკომენდაციები საარჩევნო სისტემის სამომავლო გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ:

საარჩევნო ადმინისტრაცია - უნდა განხორციელდეს საარჩევნო ადმინისტრაციის ძირეული რეფორმა, ხოლო ზემდგომი ორგანოები (ცესკო, ოლქი) მხოლოდ პროფესიული ნიშნით, აპოლიტიკური და დამოუკიდებელი წევრებით დაკომპლექტდეს. აგრეთვე, გარდამავალ პერიოდში მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა და კომისიის წევრთა შერჩევის წესი და პრაქტიკა. მნიშვნელოვნია, ასევე, საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება, მათთვის საარჩევნო დოკუმენტაციის წარმოების უნარების განმტკიცება, საარჩევნო კომისიის წევრთა მიერ ადმინისტრაციული წარმოების კანონის მოთხოვნების სრული დაცვა და საჩივრების არსებითი განხილვა. საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისა და საარჩევნო პროცესების ჩატარების გაუმჯობესების კუთხით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კენჭისყრის პროცედურების გამარტივება, ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა უბნებზე, მათ შორის ხმების დათვლა ელექტრონული წესით;

უწყებათაშორისი კომისია უნდა გასცდეს მხოლოდ პრეტენზიების მოსმენისა და ინფორმაციის ურთიერთგაზიარების პლატფორმას და იქცეს უფრო ქმედით და ეფექტურ უწყებად;

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დროულად უნდა განახორციელოს წინასაარჩევნო კამპანიის დარღვევის ფაქტების შესწავლა/შეფასება და ეფექტური რეაგირება;

სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ არჩევნებთან დაკავშირებული ინციდენტების დროული, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება. ასევე, მათ უნდა გამორიცხონ მიკერძოების აღქმა პოლიტიკურად აქტიურ პირებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების მიმართ;

საარჩევნო სუბიექტებმა უარი უნდა თქვან ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების უკანონო შეგროვებასა და დამუშავებაზე;

სასამართლო - მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო დავების განხილვისას ,სასამართლოს მიერ ხდებოდეს კანონის მართებული განმარტება და გამოყენება. საარჩევნო დავების კუთხით, მუდმივად უნდა ხდებოდეს მოსამართლეთა გადამზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

■ ანგარიშის სრული ვერსია

ეთნიკური უმცირესობების ელექტორალური ქცევა

26 თებერვალს, საიამ და საერთო სამოქალაქო მოძრაობამ - მრავალეროვანი საქართველო ერთობლივი კვლევის „საქართველოში არსებული ეთნიკური უმცირესობების ელექტორალური ქცევის“ შუალედური შედეგების პრეზენტაცია გამართა.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების კვლევის შედეგად, გამოიკვეთა:

- ✓ პოლიტიკური პარტიების შესახებ ეთნიკური უმცირესობების ინფორმირების დაბალი ხარისხი;
- ✓ პოლიტიკური პარტიების მიმართ დაბალი ნდობა;
- ✓ პოლიტიკური პარტიების პასიური პოზიციონირება სამიზნე რეგიონებში;
- ✓ პარტიების მხრიდან, მუშაობის პროცესში, მანკიერი სოციალური კონსტრუქციების გამოყენება.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა აქტორების მიერ, გაგრძელდეს მუშაობა შემდეგი მიმართულებებით:

ცენტრალური საარჩევნო კომისია - ეთნიკური უმცირესობების ელექტორალური ჩართულობის ზრდისკენ მიმართული კომპლექსური პოლიტიკის განხორციელება;

ცენტრალური ხელისუფლება - შესაბამისი ინსტიტუტების მიერ, სამიზნე რეგიონებში, ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური და სოციალური ჩართულობის ზრდაზე ორიენტირებული ნაბიჯების გადადგმა;

ადგილობრივი ხელისუფლება - ადგილობრივ საზოგადოებასთან კომუნიკაციის გააქტიურება და უარის თქმა სოციალური გავლენების გამოყენების მანკიერ პრაქტიკაზე;

მედია - პოლიტიკური პროცესების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის ზრდაზე მიმართული საინფორმაციო პოლიტიკის გატარება.

■ კვლევის სრული ვერსია

რას აჩვენებს საპარლამენტო საქმიანობის მონიტორინგი?

10 იანვარს, საიამ პარლამენტის საქმიანობის მონიტორინგის შედეგების პრეზენტაცია გამართა. მონიტორინგი მოიცავს პარლამენტის 2016 წ. საშემოდგომო და 2017წ. საგაზაფხულო სესიების პერიოდში, საკანონმდებლო და საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების შეფასებას.

ანგარიშში სრულად არის შესწავლილი მონიტორინგის პერიოდში არსებული საკანონმდებლო ინიციატივები როგორც შინაარსის, ასევე პროცესის თვალსაზრისით. საანგარიშო პერიოდში:

საკანონმდებლო საქმიანობა:

✅ გამოიკვეთა საკანონმდებლო ინიციატივა, კერძოდ, პატიმრობის კოდექსში შესატანი ცვლილებები, რომელიც ხასიათდებოდა როგორც პროგრესზე ორიენტირებული შინაარსით, ასევე ჯეროვანი საპარლამენტო პროცესით;

❌ კონსტიტუციის გადასინჯვის კანონის პროექტის შემუშავება და განხილვა არა ერთი ხარვეზით წარიმართა, რამაც საბოლოო ჯამში, კონსენსუსის არარსებობა გამოიწვია;

❌ გამოიკვეთა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ერთნაირად მიუღებელი იყო საპარლამენტო ოპოზიციის, პრეზიდენტისა და არასამთავრობო სექტორისთვის. მიუხედავად ამისა, მაინც ხდებოდა მათი მიღება;

❌ არ მომხდარა პრეზიდენტის არც ერთი მოტივირებული შენიშვნის გაზიარება.

საზედამხედველო საქმიანობა:

❌პარლამენტში „სამთავრობო საათი“ არ გამართულა;

❌საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლები განსხვავებულად წარმართავენ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშების მოსმენას;

❌კომიტეტები, მცირე გამონაკლისების გარდა, აქტიურად არ იყენებენ საკომიტეტო ფორმატში პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების წარმომადგენლების მიწვევისა და მათი ანგარიშების მოსმენის შესაძლებლობას.

როგორც საკანონმდებლო, ასევე საზედამხედველო თვალსაზრისით გამოვლენილი ხარვეზები განპირობებული იყო ისეთი ძირითადი ფაქტორებით, როგორიცაა პოლიტიკური ნების არარსებობა, არასათანადო პოლიტიკური კულტურა და მოქმედი რეგლამენტის ხარვეზები.

📘 ანგარიშის სრული ვერსია

საია ცვლილებებისთვის IChange.gov.ge

2017 წლის დეკემბრიდან საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ ცვლილებების ინიცირება მოახდინონ პეტიციების ელექტრონული პორტალის Ichange.gov.ge-ის საშუალებით. პორტალი „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ფარგლებში შეიქმნა, რომლის შესახებ ვალდებულება სახელმწიფომ 2012წ. აიღო. საია აქტიურად ეწევა აღნიშნული პორტალის შესახებ ცნობირების ამაღლებისა და განათლების კამპანიას ქვეყნის მასშტაბით.

USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „IChange.gov.ge-ის შესახებ - საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებისა და განათლების კამპანია“ ფარგლებში, საია პერმანენტულად ხვდება საქართველოს მოსახლეობას და ეწევა აქტიურ სოციალურ და მედია კამპანიებს.

იანვარ-მარტის თვეებში, ორგანიზაციის წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს ქუთაისის, ზუგდიდის, გორის, მცხეთის, რუსთავის, თელავის, საგარეჯოს, ახალციხის, ბათუმისა და ოზურგეთის მოსახლეობასთან და მოქალაქეებს პორტალის მოხმარების წესები გააცნეს. ასევე, მიმდინარეობს შეხვედრები თემატურ ჯგუფებთან, როგორიცაა სტუდენტები, ეთნიკური უმცირესობები, პროფკავშირები, სამოქალაქო განათლების პედაგოგები, ტურიზმის სფეროში მომუშავე პირები და ა.შ.
გარდა ამისა, პორტალის გამოყენების შესახებ, საიამ პარტნიორებთან ერთად, მოამზადა ბეჭდური და ვიდეო სახელმძღვანელო.

#შეცვალე

#ცვლილებებიიწყებაშენით

⬇

https://ichange.gov.ge/

საიას შესახებ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - საია დაარსდა 1994 წელს და მას, დღეს, ჰყავს 800-ზე მეტი წევრი, 120 თანამშრომელი, ათეულობით საერთაშორისო და ადგილობრივი დონორი და პარტნიორი ორგანიზაცია. საიას აქვს ოფისები საქართველოს მასშტაბით: *ბათუმში, გორში, დუშეთში, ზუგდიდში, თბილისში, თელავში, ოზურგეთში, რუსთავსა და ქუთაისში.*

დღეს, საია აქტიურად მუშაობს ადამიანის უფლებების დაცვის, სტრატეგიული სამართალწარმოების, კარგი მმართველობისა და იურიდიული განათლებისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებებით.
საია, ყოველწლიურად, 35 000-ზე მეტ მოქალაქეს უწევს უფასო იურიდიულ კონსულტაციას, ასეულობით ადამიანს იცავს სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოების წინაშე მათი დარღვეული უფლებების აღსადგენად, მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს მოქალაქეთა უფლებების დაცვისათვის მნიშვნელოვან სტრატეგიულ საქმეებზე.
საია დაფუძნებიდან დღემდე აქტიურად უწევს მონიტორინგს და სწავლობს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების პროცესებს.
ასევე, საია ყოველწლიურად 200-ზე მეტ სტუდენტ იურისტს აძლევს საშუალებას გაიღრმავოს ცოდნა და განავითაროს პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით განხორციელებული კვლევის თანახმად, საქართველოში **უფასო იურიდიული დახმარების მისაღებად, მოქალაქეთა მიამრთვიანობისა და ცნობადობის თვალსაზრისით, საია ლიდერია.** გამოკითხულთა 66%-ს სმენია საიას უფასო იურიდიული დახმარების ცენტრის შესახებ, ხოლო 62% დახმარებისთვის სწორედ საიას მიმართავს.

დაარსებიდან (1994 წ.) დღემდე, საიამ დაიცვა 1 მილიონზე მეტი ადამიანის უფლება!

საიას აქტივობები - აპრილი 2018

მიმდინარე წლის აპრილის თვეში, საიას დაგეგმილი აქვს 10-ზე მეტი სხვადასხვა სახის საჯარო ღონისძიება. მათ შორის, აღსანიშნავია:

- *საჯარო დისკუსია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესახებ, 18 აპრილი, თავისუფალი უნივერსიტეტი;*
- *კვლევის პრეზენტაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ, აპრილის მე-2 ნახევარი;*
- *კვლევის პრეზენტაცია „საქართველოში შშმ პირთა საარჩევნო უფლების რეალიზაცია“, აპრილის თვის ბოლო.*

იხ. მეტი:

GYLA_CSO
GYLA.ge
www.gyla.ge
#საია

დონორები

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
Kingdom of the Netherlands
ევროკავშირი საქართველოსთვის The European Union for Georgia
EHRAC European Human Rights Advocacy Centre
EQUAL RIGHTS TRUST
EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)
SIGRID RAUSING TRUST
SWEDEN
British Embassy Tbilisi
Norwegian Embassy
NED National Endowment for Democracy Supporting freedom around the world
PORADNA PRO OBČANSTVÍ, OBČANSKÁ A LIDSKÁ PRÁVA
Brot für die Welt
OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

საიას საინფორმაციო ბიულეტენი გამოდის სამ თვეში ერთხელ, ასევე, დამატებით, მოიცავს სპეციალურ თემატურ გამოშვებებს.